



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ოქმი:ო31.31221521

თარიღი:01/06/2022

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის ოქმი N9

ქ. ლანჩხუთი

25. 05. 2022 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა თავმჯდომარე კარლო კვიციანიშვილი, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე კახაბერ ასკურავა, საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე მაკა მშვიდლობაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე.

მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მედიის წარმომადგენელი.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სოლიდარობა გამოუცხადა უკრაინელ ხალხს და მიმართა სხდომაზე მყოფთ წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ დაღუპული ადამიანების სსოვნისთვის. მან ასევე აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ შემოვიდა შემდეგი საკითხები:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.

მომხრე საკრებულოს 21 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

2. „მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში (გარდა სოფელ მალთაყვიდან მდინარე სეფისწყალამდე შავი ზღვის ნაპირიდან 500 მეტრის რადიუსში არსებულ დასახლებებში და დასახლებათა შორის არეალებში მოქცეული ტერიტორიისა) II კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, მათი ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი II კლასის დამხმარე ხასიათის შენობა-ნაგებობებისთვის და II კლასის ღობეების მშენებლობისათვის (რეკონსტრუქციისათვის) მშენებლობის დეტალური შეტყობინების დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს წევრმა **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციაში გაწერილია და ასევე, ქვეყნის მოსახლეობის სურვილია, რომ ქვეყანა განდეს ევროკავშირის წევრი. როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის ივნისის თვეში საქართველო ელოდება ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას. აქედან გამომდინარე, საკრებულოს წევრის აზრით სიმბოლურად, ერთობლივი თხოვნით უნდა მიმართონ ევროკავშირს იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველო ნამდვილად იმსახურებს ევროკავშირში გაწევრიანებას და მიაწოდოს მას კანდიდატის სტატუსი.

საკრებულოს სხდომას შემოუერთდა საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე გოგი მორჩილაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი.

მომხრე საკრებულოს 22 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ**. მან აღნიშნა, რომ საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის, ქალბატონ ია მოქიას მიერ, ბიუროს სხდომაზე ფრაქციის სახელით გამოთქმული მოსაზრების გათვალისწინებით, წარმოდგენილია დადგენილების კორექტირებული პროექტი, რომლის თანახმად:

მუხლი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის N34 დადგენილებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

- ა) დადგენილების პირველი მუხლის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნას;
- ბ) დადგენილების მე-3, მე-4 და მე-6 მუხლები ამოღებულ იქნას;
- გ) დადგენილების მე-8 მუხლის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნას.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი.

მომხრე საკრებულოს 22 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა დადგენილება N15 (25.05.2022)

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ**. მან განმარტა, რომ წარმოდგენილია დადგენილების კორექტირებული პროექტი, რომლის თანახმად:

მუხლი 1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემოღებულ იქნას:

ა) მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებელი (შემდგომში - მშენებლობის სანებართვო მოსაკრებელი).

ბ) მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტის მშენებლობისა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებელი.

მუხლი 2. მშენებლობის სანებართვო მოსაკრებელი ახალ ასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის განისაზღვროს:

ა) სოფელ მალთაყვიდან მდინარე სეფისწყალამდე შავი ზღვის ნაპირიდან 500 მეტრის რადიუსში არსებულ დასახლებებში და დასახლებათა შორის არეალებში:

ა.ა) სააგარაკე და ინდივიდუალური სახლებისათვის - 4 ლარი;

ა.ბ) მრავალბინიანი სახლები, კომერციული დანიშნულების ობიექტები (სასტუმრო, სავაჭრო და გასართობი) - 4 ლარი;

ა.გ) სამრეწველო ობიექტი - 5 ლარი;

ა.დ) სამკურნალო-გამაჯანსაღებელი, სარეაბილიტაციო პროფილის შენობა-ნაგებობებისათვის - 2.5 ლარი;

ბ) ქალაქ ლანჩხუთის ტერიტორიაზე - 4 ლარი;

გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სხვა დანარჩენ ტერიტორიაზე - 2,50 ლარი;

დ) ხაზობრივი ნაგებობების მშენებლობისათვის მოსაკრებლის ოდენობა 1 (ერთი) გრძივ მეტრზე შეადგენს - 1 (ერთი) ლარს;

ე) ისეთი შენობა-ნაგებობის (გარდა ხაზობრივი ნაგებობისა) მშენებლობის შემთხვევაში, რომელსაც არ აქვს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობი:

ე.ა) II კლასის ობიექტებისთვის - 50 ლარი;

ე.ბ) III კლასის ობიექტებისთვის - 200 ლარი;

ე.გ) IV კლასის ობიექტებისთვის - 400 ლარი.

მუხლი 3. მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტის მშენებლობისა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის განაკვეთი განისაზღვროს:

ა) II და III კლასის შენობა-ნაგებობების შემთხვევაში:

ა.ა) განცხადების წარდგენიდან სამ სამუშაო დღეში - 500 (ხუთასი) ლარი;

ა.ბ) განცხადების წარდგენიდან ხუთ სამუშაო დღეში - 300 (სამასი) ლარი;

ა.გ) განცხადების წარდგენიდან ათ სამუშაო დღეში - 200 (ორასი) ლარი;

ბ) IV კლასის შენობა-ნაგებობების შემთხვევაში:

ბ.ა) განცხადების წარდგენიდან სამ სამუშაო დღეში - 1 500 (ათას ხუთასი) ლარი;

ბ.ბ) განცხადების წარდგენიდან ხუთ სამუშაო დღეში – 1000 (ათასი) ლარი;

ბ.გ) განცხადების წარდგენიდან ათ სამუშაო დღეში – 700 (შვიდასი) ლარი;

ბ.დ) განცხადების წარდგენიდან თხუთმეტ სამუშაო დღეში – 500 (ხუთასი) ლარი.

მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქცია შემუშავებულია „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და განსაზღვრავს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტის მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის გამოანგარიშებისა და გადახდის წესს.

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი:

1. მშენებლობის ნებართვა არის განსაზღვრული ფორმის მქონე დოკუმენტი, რომელიც უფლებას აძლევს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად, განახორციელოს შენობა-ნაგებობების მშენებლობა ნებართვაში მითითებულ ვადებში.

2. მშენებლობის ნებართვა ადასტურებს მისი მიმღების უფლებას, კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, განახორციელოს სამშენებლო სამუშაოები ნებართვაში მითითებულ ვადებში.

მუხლი 2. მოსაკრებლის დაბეგვრის ობიექტი:

მშენებლობის სანებართვო მოსაკრებლით დაბეგვრის ობიექტია ახალ ასაშენებელი ობიექტი, რომელზედაც გაიყვამა მშენებლობის ნებართვა.

მუხლი 3. მოსაკრებლის გადამხდელი:

მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის გადამხდელია მშენებარე ობიექტის მესაკუთრე ფიზიკური ან/და იურიდიული პირი.

მუხლი 4. მოსაკრებლის გადახდის წესი და ვადები

1. მშენებლობის სანებართვო მოსაკრებლის გადახდა ხდება წინასწარ ნებართვის გაცემამდე უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

2. მოსაკრებლის გადახდა ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში (სპეციალურ სახაზინო კოდზე) თანხის შეტანის გზით.

მუხლი 5. მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლება და შეღავათები:

1. მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლებულია:

ა) სტიქიური უბედურების შედეგად დაზიანებული ობიექტის ნაცვლად ახალი მშენებლობა, თუ ახლად ასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ფართი არ აღემატება დაზიანებული ობიექტით დაკავებულ ფართს;

ბ) მოსაკრებლის განაკვეთი 50%-ით მცირდება სტიქიური უბედურების შედეგად დაზიანებული ობიექტის ნაცვლად ახლად ასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებულ ფართზე, რომლითაც იგი აღემატება დაზიანებული ობიექტით დაკავებულ ფართს.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი.
მომხრე საკრებულოს 22 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N16 (25.05.2022).**

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში (გარდა სოფელ მალთაყვიდან მდინარე სეფისწყალამდე შავი ზღვის ნაპირიდან 500 მეტრის რადიუსში არსებულ დასახლებებში და დასახლებათა შორის არეალებში მოქცეული ტერიტორიისა) II კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, მათი ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი II კლასის დამხმარე ხასიათის შენობა-ნაგებობებისთვის და II კლასის ღობეების მშენებლობისათვის (რეკონსტრუქციისათვის) მშენებლობის დეტალური შეტყობინების დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ**. მან განმარტა, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 94-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ან მის ნაწილში II კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისთვის ამ მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლება აქვს, მშენებლობის ნებართვის მიღების ვალდებულების ნაცვლად, დაადგინოს მშენებლობის დეტალური შეტყობინების ვალდებულება.

მერიის მოსაზრებაა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, (გარდა სოფელ მალთაყვიდან მდინარე სეფისწყალამდე შავი ზღვის ნაპირიდან 500 მეტრის რადიუსში არსებულ დასახლებებში და დასახლებათა შორის არეალებში მოქცეული ტერიტორიისა) II კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, მათი ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი II კლასის დამხმარე ხასიათის შენობა-ნაგებობებისთვის და II კლასის ღობეების მშენებლობისათვის (რეკონსტრუქციისათვის) მშენებლობის ნებართვის მიღების ვალდებულების ნაცვლად დადგინდეს მშენებლობის დეტალური შეტყობინება, კანონით დადგენილი წესით.

პროექტით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მე-2 კლასს მიკუთვნებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობით დაინტერესებულ გარკვეულ კატეგორიას უმარტივდება სანებართვო პროცედურები, რაც ჩვენი აზრით დადებითად აისახება მუნიციპალიტეტის მოსახლეობაზე და ხელს შეუწყობს საცხოვრებელი სახლების ქაოსურად მშენებლობის შემცირებას.

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი.
მომხრე საკრებულოს 22 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.**

მიღებულ იქნა დადგენილება N17 (25.05.2022)

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ**. მან განმარტა, რომ დადგენილების პროექტში შესატანი ცვლილებები განპირობებულია „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ განხორციელებული ცვლილებების თანახმად, რათა შესაბამისობაში მოყვანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი, ამიტომ აღნიშნულიდან გამომდინარე გარკვეული ცვლილებები შედის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის

დებულებაში, კერძოდ კომისიის უფლებამოსილებაში.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი.
მომხრე საკრებულოს 22 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N18 (25.05.2022).**

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას წარუდგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ**. მან განმარტა, რომ რომ ცვლილებები განპირობებულია „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ განხორციელებული ცვლილებების თანახმად, ძირითადად შესაბამისობაში მოყვანილ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი, კერძოდ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის მეოთხე პუნქტის შესაბამისად, 57-ე მუხლის მე-6 პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე- მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სხდომას თავმჯდომარეობს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში- მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის უზუცესი მოადგილე“, ასევე დადგენილების მიღება არ მოახდენს გავლენას ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე და არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი.
მომხრე საკრებულოს 22 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N19 (25.05.2022)**

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიაძე**. მან განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აგვისტოს N1419 განკარგულებაში, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 27 აპრილის N754 განკარგულებით შესული ცვლილებებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ორაგვეში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა ადგილობრივი ბიზნესის სტიმულირების მიზნით (ტენდერის შედეგად) პროექტის ღირებულება შემცირდა 195627 ლარით და განისაზღვრა 1198888 ლარით, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტით 1186899 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტით 11989 ლარი. სოფელ ორაგვეში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა ადგილობრივი ბიზნესისა და ტურიზმის განვითარებისათვის (გადმოსახედი, ზიპლაინის, საფეხმავლო და ველოსპორტის ბილიკების, გამოქვაბულის მიმდებარედ ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა) გამოიყო 1797277 ლარი. მათ შორის, სახელმწიფო ბიუჯეტით 1779304 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტით 17973 ლარი.

საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 17 იანვრის N75 განკარგულებაში, საქართველოს მთავრობის 6 მაისის N787 განკარგულებით შესული ცვლილებით ქ.ლანჩხუთში დუმბაძის, წმ.ნინოს, წულაძის, გოგინაიშვილის, მარჯანიშვილის, გვარჯალაძის, კუპრეიშვილის შესახვევის და ჭავჭავაძის ქუჩების რეაბილიტაციაზე გამოყოფილი თანხა (ტენდერის შედეგების გათვალისწინებით) შემცირდა 91250 ლარით და განისაზღვრა 2499995 ლარით. მათ შორის, სახელმწიფო ფონდით 2374994 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტით 125001 ლარი. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციაზე გამოიყო 145777 ლარი, აქედან სახელმწიფო ბიუჯეტით 138488 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტით 7289 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 იანვრის N131 განკარგულებაში საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 6 მაისის N786 განკარგულებით შესული ცვლილებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით გამოეყო 500000 ლარი და მიიმართება შემდეგ ობიექტებზე:

1. აკეთი-გაგურის გზაზე ნაპირსამაგრი სამუშაოები-სავარაუდო ღირებულება 191050 ლარი;
2. ლესა-ჭინათის გზაზე ნაპირსამაგრი სამუშაოები-სავარაუდო ღირებულება 94900 ლარი;
3. არჩეული-ნინოშვილის გზაზე ნაპირსამაგრის მოწყობა, მილხიდების და ხიდის რეაბილიტაცია-სავარაუდო ღირებულება 88785 ლარი;
4. სოფ. ჯუნმერეში ნაპირსამაგრი სამუშაოები-სავარაუდო ღირებულება 80554 ლარი;
5. სოფ. ომფარეთში კვარაცხელიას სახლთან განვითარებული მეწყერის შემაკავებელი ღონისძიებები-სავარაუდო ღირებულება 13027 ლარი;
6. წყალწმინდაში ხიდთან წყალშემკრების მოწყობა და გზის აღდგენა-სავარაუდო ღირებულება-31684 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის N51 განკარგულების საფუძველზე საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა გამოყოფილი ლიმიტის გათვალისწინებით დაფინანსება გაიზარდოს 423238 ლარი.

მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის წინადადების განხილვის შედეგად მიზანშეწონილად ჩაითვალა სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ გრიგოლეთში სანაპირო ზოლზე ორი ერთეული სათვალთვალ კოშკურის მოსაწყობად გამოიყოს 75408 ლარი და დაფინანსება განხორციელდება ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთის ხარჯზე.

ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის 4 თვის ანალიზის შედეგების გათვალისწინებით მიზანშეწონილია მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური უზრუნველყოფის მუხლის დაფინანსება გაიზარდოს 9500 ლარით.

განათლების ღონისძიების ხელშეწყობისათვის მიზანშეწონილია დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში საქონელი და მომსახურების 1040 ლარით და სხვა ხარჯების მუხლის 5708 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სუფსიდის მუხლი 6748 ლარით.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის წინადადების განხილვის შედეგად მიზანშეწონილია დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში საქონელი და მომსახურების მუხლის 15000 ლარით შემცირების ხარჯზე 15000 ლარით გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი.

გარდა ამისა, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ შემოსულია შპს ქალთა საფეხბურთო კლუბის დირექტორის წერილი ქალთა საფეხბურთო კლუბის, როგორც საქართველოს თასის მფლობელის, წახალისებასთან დაკავშირებით. ასევე, მიდის მსჯელობა აკეთში ხიდის რეაბილიტაციაზე 17000 ლარის გამოყოფასა და

ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი“-სთვის 100000 ლარის ფარგლებში დამატებით დაფინანსების შესახებ. აღნიშნული საკითხები განხილვის სტადიაშია და ფინანსური რესურსის უზრუნველყოფის პირობებში წარმოდგენილი იქნება დაზუსტებული თანხობრივი ოდენობები.

საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ **კახაბერ ასკურავამ** ყურადღება გაამახვილა საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირებით უზრუნველსაყოფად გამოყოფილ თანხაზე და აღნიშნა, რომ პანდემიის დროს გარკვეული ეკონომია გაკეთდა, რადგან ბავშვები დისტანციურ სწავლებაზე იყვნენ, ამიტომ მისთვის გაუგებარია ამ მხრივ დაახლოებით ნახევარი მლნ. ლარის გამოყოფა.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ ეს თანხა გათვალისწინებულია მიმდინარე წლისთვის და წლიური დაფინანსება ხდება გამოყოფილი ლიმიტის ფარგლებში.

საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ 2017 წელში სოფ. ჯუნმერეში ნაპირსამაგრ სამუშაოებზე დაიხარჯა დაახლოებით 150000 ლარამდე, ახლა კი თავიდან ხდება იგივე სამუშაოებისთვის თანხის გამოყოფა. ამის შემდეგ საკრებულოს წევრი შეეხო ორაგვეში ტენდერის საკითხს, რაზეც მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ კომისია გადაწყვეტს, თუ რომელი პროექტები იქნება წარდგენილი იმ საპილოტე რეგიონებიდან, რომლებიც პროგრამაშია. რაც შეეხება სოფ. ჯუნმერეში ნაპირსამაგრ სამუშაოებს, მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ ხიდს ზედა მხრიდან შევარდნილმა წყალმა გამოუთხარა ძირი.

საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სოფელ ორაგვეში არის უდიდესი ტრადიციის და ისტორიის მქონე სკოლა, რომელიც ინგრევა და იქნებ შეტანილი იქნას პროექტების ჩამონათვალში. მუნიციპალიტეტის მერის განმარტებით, აღნიშნულ სკოლასთან დაკავშირებით ჩამოსული იყო ჯგუფი და ადგილზე შეისწავლა სიტუაცია. გაკეთდა მონახაზი. მიდის მუშაობა იმასთან დაკავშირებით, რომ შეიძლება ტურისტული თვალსაზრისით მოეწყოს გარკვეული ინფრასტრუქტურა.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს წევრი. მომხრე საკრებულოს წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N29 (25.05.2022)

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ**. მან აღნიშნა, რომ ეს დებულება, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, განსაზღვრავს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის (შემდგომ - მერია) სტრუქტურას, მერიის თანამდებობის პირების და სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებებს და მუშაობის ორგანიზაციას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი. მომხრე საკრებულოს 20 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N30 (25.05.2022)

დღის წესრიგის მერვე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ**. მან აღნიშნა, რომ მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური წარმოადგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულს, რომლის უფლებამოსილებები, ვალდებულებები, სტრუქტურა და მართვის ორგანიზება განისაზღვრება ამ დებულებით.

სამსახურიდან გავიდა შესყიდვების განყოფილება და დაემატა ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებთან ურთიერთობის და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების განყოფილება, თითოეული განყოფილება ჩამოილია ფუნქციონირების მოვალეობებით. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, მერიის დებულების, ამ დებულებისა და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი.
მომხრე საკრებულოს 20 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.**

მიღებულ იქნა განკარგულება N31 (25.05.2022)

დღის წესრიგის მეცხრე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ**. მან აღნიშნა, რომ მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურში არ შეცვლილა განყოფილების რაოდენობა, თუმცა მოხდა სახელწოდებაში ცვლილების შეტანა. კერძოდ:

1. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება.

2. კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის განყოფილება.

სამსახურის ფუნქციებია:

ა) განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მუნიციპალური პროგრამების შემუშავება და განხორციელება;

ბ) სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების, მუნიციპალური მუზეუმების, თეატრების, ბიბლიოთეკების და კულტურის სხვა დაწესებულებების, მუნიციპალური სპორტული და ახალგაზრდული დაწესებულებების კოორდინაცია;

გ) ძეგლთა დაცვის განვითარების მუნიციპალური პროგრამების განხორციელების კოორდინაცია;

დ) წინადადებების შემუშავება მის სფეროს მიკუთვნებული დაწესებულებების შექმნისა და რეორგანიზაციის საკითხებზე;

ე) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტურისტული ობიექტების პოტენციალის კვლევა და განვითარების პერსპექტიული გეგმის შემუშავება;

ვ) ახალი ტურისტული ობიექტების დაგეგმარებაში მონაწილეობა;

ზ) მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით

განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი.
მომხრე საკრებულოს 20 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.**

მიღებულ იქნა განკარგულება N32 (25.05.2022)

დღის წესრიგის მეათე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პროექტი სხდომას გააცნო მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ**. მან განმარტა, რომ მერიის ზედამხედველობის სამსახურის სტრუქტურაში შევიდა გარკვეული ცვლილება - შეიქმნა ახალი განყოფილება- „მუნიციპალური ინსპექტირების განყოფილება“. ასევე, დაემატა ფუნქცია-მოვალეობები იმასთან დაკავშირებით, თუ რის საფუძველზე უნდა შედგეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.

საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ ფრაქციას მიზანშეწონილად მიაჩნია გაერთიანდეს მერიის ზედამხედველობის და შიდა აუდიტის სამსახურები, რაც უფრო დიდ შედეგს მოუტანს მუნიციპალიტეტს, რადგან მერიის ზედამხედველობის სამსახურს ძალიან მწირი ფუნქცია-მოვალეობები აკისრია. ასევე, აუცილებელია ცალკე ჩამოყალიბდეს შესყიდვების სამსახური, რადგან იგი ძალიან დიდი ოდენობის ფინანსებს განკარგავს. მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, სამსახურმა დაახლოებით 23 მლნ. ლარი მოიცვა, რაც საკმაოდ სოლიდური თანხაა.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** რეორგანიზაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ეს არის პირველი ეტაპი. რაც შეეხება მერიის ზედამხედველობის სამსახურს, მოიაზრება მისი ცალკე ა(ა)პ-ად გასვლა. ამას ჭირდება შესაბამისი ფინანსური რესურსი და ამ კუთხით მიდის გარკვეული მუშაობა. რამდენიმე მუნიციპალიტეტში ანალოგიური უკვე განხორციელდა, რამაც გაამართლა. აქედან გამომდინარე, მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოხდება აღნიშნული საკითხის განსახილველად შემოტანა.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი.
მომხრე საკრებულოს 20 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.**

მიღებულ იქნა განკარგულება N33 (25.05.2022)

დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ**. მისი განმარტებით, აღნიშნულ სამსახურს დაემატა ეკონომიკისა და საინვესტიციო პროექტების განყოფილება. შესაბამისად, დებულებაში გაიწერა მისი ფუნქცია- მოვალეობები.

საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილეს **გიორგი გოგუაძეს** არასწორად მიაჩნია აღნიშნული სამსახურისთვის ეკონომიკისა და

საინვესტიციო პროექტების განყოფილების დამატება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.
მომხრე საკრებულოს 21 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.**

მიღებულ იქნა განკარგულება N34 (25.05.2022)

დღის წესრიგის მეთორმეტე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ**. მისი განმარტებით, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს დაემატა შესყიდვების განყოფილება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.
მომხრე საკრებულოს 21 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.**

მიღებულ იქნა განკარგულება N35 (25.05.2022)

დღის წესრიგის მეცამეტე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ**. მან აღნიშნა, რომ მოხდა მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ფუნქციების დაზუსტება - დაკორექტირება. აღნიშნული სამსახური არის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის სრულყოფას, ფინანსების მართვის გაუმჯობესებას, სახსრების, სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერებას, მიზნობრიობის დაცვასა და ეფექტიანობის გაზრდას. იგი ფუნქციურად დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში, ანგარიშვალდებულია მერის წინაშე და „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში მოქმედებს შიდა კონტროლთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ საბჭოსთან (შემდგომში - ჰარმონიზაციის ცენტრი) კოორდინირებულად. სამსახური თანამშრომლობს სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან. მოთხოვნის შემთხვევაში, აწვდის მას შესაბამის ინფორმაციას ან/და დოკუმენტაციას და მასთან ურთიერთობას წარმართავს შიდა კონტროლის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

საკრებულოს წევრის **ირმა მგელაძის** თქმით, იმის გათვალისწინებით, რომ განსაზღვრულია მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების რაოდენობა, ზედამხედველობის და შიდა აუდიტის სამსახურების გაერთიანების ხარჯზე შესაძლებელი იქნება შესყიდვების სამსახურის ცალკე სამსახურად ჩამოყალიბება.

მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ აუდიტის სამსახური ცალკე ა(ა)იპ-ად ვერ გავა, რადგან კანონის მოთხოვნაა ყველა დაწესებულებას ყავდეს თავისი აუდიტი. რაც შეეხება ზედამხედველობის სამსახურს, ფუნქციებიდან გამომდინარე, როგორც ა(ა)იპი-ს, უფრო მოქნილი მექანიზმი ექნება საკუთარი უფლება-მოვალეობების განსახორციელებლად. სხვა მუნიციპალიტეტებმა უკვე გადადგა ნაბიჯი ამ მიმართულებით და მათთან მიღებული შედეგების გათვალისწინებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტშიც განახორციელებენ ანალოგიურ ღონისძიებას.

საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერის განმარტებით, მიმდინარე რეორგანიზაცია ხორციელდება მუნიციპალიტეტის მხრიდან უფრო მეტი გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების, ნორმალური და მოქნილი მუშაობისთვის. აქედან გამომდინარე, იმედს გამოთქვამს, რომ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მუნიციპალიტეტის მერის მხრიდან აღნიშნული პროცესის განხორციელებას ექნება დასაბუთებული არგუმენტაცია.

მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ** აღნიშნა, რომ რეორგანიზაცია

დასრულების ფაზაშია, ხოლო რაც შეეხება არგუმენტაციას, საკრებულოს წინა სხდომაზე ამ საკითხთან დაკავშირებით იმსჯელეს და დამტკიცდა სტრუქტურა, რომლითაც განისაზღვრა სამსახურების შემდგენლობა. ასევე, გამოიკვეთა პროცესის აუცილებლობა და მიმდინარეობის მექანიზმიც. ამჟამად კი განსახილველად წარმოდგენილია სწორედ ამ სტრუქტურიდან გამომდინარე დებულებები.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.
მომხრე საკრებულოს 21 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.**

მიღებულ იქნა განკარგულება N36 (25.05.2022)

დღის წესრიგის მეთოთხმეტე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ**. მან განმარტა, რომ სამსახური ახორციელებს დელეგირებულ უფლებამოსილებას. წარმოდგენილი დებულება სრულად პასუხობს აღნიშნული ფუნქციების განხორციელებას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.

მომხრე საკრებულოს 21 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N37 (25.05.2022)

დღის წესრიგის მეთხუთმეტე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ**. მან აღნიშნა, რომ ხდება სამსახურის ფუნქციების დაზუსტება-დაკორექტირება. ასევე, ემატება ერთი განყოფილება - „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება“.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.
მომხრე საკრებულოს 21 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.**

მიღებულ იქნა განკარგულება N38 (25.05.2022)

დღის წესრიგის მეთექვსმეტე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ**. მან აღნიშნა, რომ გარკვეულწილად

ხორციელდება ფუნქციების დაზუსტება და დაკორექტირება. სამსახურის ფუნქციების ძირითადი მიმართულებებია ქონების მართვა და სოფლის მეურნეობა, რომელთა გათვალისწინებითაც მოხდა შესაბამისი დებულების გაწერა.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი. მომხრე საკრებულოს 21 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N39 (25.05.2022)

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს წევრმა **ჯუმბერ ბლაგიძემ** თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, დაესწროს ფრაქციის „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ სხდომას, რადგან ფრაქციის წევრებს სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით აქვთ გარკვეული შეკითხვები. ამის შემდეგ საკრებულოს წევრმა ყურადღება გაამახვილა მუნიციპალურ ტრანსპორტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ამ საკითხზე საკრებულოს და კომისიების სხდომებზე რამდენჯერმე გააუღერა. მისი აზრით, მუნიციპალიტეტის მომავალი წლის ბიუჯეტის განსაზღვრისას გათვალისწინებული იქნას, რომ მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის მოძრაობის მარშრუტმა მოიცვას მთელი მუნიციპალიტეტი წყალწმინდის და მალთაყვის ჩათვლით. ასევე, განრიგი მორგებული იქნას სამუშაო საათებზე. ამის შემდეგ, საკრებულოს წევრმა აღნიშნა, რომ საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ შემოდის ინიციატივით, რათა 2023 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფ ა(ა)იპ-ებში დასაქმებულთა შრომითი ანაზღაურების 30 -40 %-ის ფარგლებში მატება. საკრებულოს წევრის თქმით, ნამდვილად მოწონებას იმსახურებს სუფსაში საბავშვო ბაღის და იუსტიციის სახლის მშენებლობა, მაგრამ ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს სასტუმრო „ლაშთანთან“ მოწყობილი კოლექტორი. მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურისა სამსახურის ინფორმაციით, ობიექტი ჩაბარებულია და ექსპლოატაციაშია მიღებული, მაგრამ საკრებულოს წევრის აზრით, ისეთი ხარვეზებითაა შესრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რომ კოლექტორი ვერ იმუშავებს. მან თხოვნით მიმართა კოლეგებს, რომ ადგილზე ენახათ შექმნილი მდგომარეობა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ მუნიციპალურ ტრანსპორტთან დაკავშირებით, რომელიც ემსახურება ცენტრალურ ხაზს, უკმაყოფილება ნამდვილად არ გამოთქმულა. ამასთან, მას მართებულად მიაჩნია, რომ მუნიციპალური ტრანსპორტი უნდა გავიდეს კერძო მეპატრონის მფლობელობაში. რაც შეეხება ა(ა)იპ-ებში ხელფასების საკითხს, გარკვეული მატება განხორციელდა, რამაც ფინანსური რესურსებიდან გამომდინარე, 10 %-ზე მეტი შეადგინა.

საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის **კახაბერ ასკურავას** თქმით, მუნიციპალიტეტის მოსახლეობას საზოგადოებრივი ტრანსპორტით დროულად გადაადგილებასთან დაკავშირებით ძალიან ხშირად ექმნება გარკვეული პრობლემები. ამის მიზეზი კი ისაა, რომ მუნიციპალიტეტში არ მოძრაობს საქალაქო ტრანსპორტი. საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის აზრით, მაშინ როცა მოსწავლეთა ტრანსპორტირებისთვის გამოყოფილია დაახლოებით ნახევარი მლნ. ლარი, მუნიციპალიტეტის მერმა შესაბამის უწყებებში უნდა დააყენოს წინადადება იმის შესახებ, რომ თანხის ნაწილ-ნაწილ ხარჯვის მაგიერ, მუნიციპალიტეტს გამოეყოს ერთი დიდი ოდენობის თანხა, რათა შექმნილი იქნას გამართული ავტობუსი, რომელიც იმოძრაავს საქალაქო მარშრუტზე.

საკრებულოს წევრმა **რეზო კვერენჩილაძემ** მიმართა მუნიციპალიტეტის მერს იმასთან დაკავშირებით, რომ ჩოჩხათის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ხორეთში გზა არის სავალალო მდგომარეობაში. ის დაინტერესდა-იგეგმება თუ არა აღნიშნული გზის რეაბილიტაცია და როდის დაიწყება შესაბამისი სამუშაოები.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ დაწყებულია გზის მშენებლობა, დარჩენილია დაახლოებით 230 მ სიგრძის მონაკვეთი და ადგილობრივი ბიუჯეტიდან უნდა მოიძებნოს დაფინანსება, რომ მოხერხდეს გზის შეერთება, რის შედეგად დასრულდება ეს მონაკვეთი. პროექტი უკვე გამზადებულია და მიმდინარე წლის ზაფხულში ეს გზა მოწესრიგდება.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ემზარ თევდორაძემ** მიმართა მუნიციპალიტეტის მერს მამათში უბნის ექიმის დანიშვნის თაობაზე, თუ რა გადაწყვეტილებაა მიღებული, რაზეც მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ დაინიშნა ახალი ხელმძღვანელი, რომელთანაც აღნიშნულ საკითხზე ჰქონდა საუბარი. შეთავაზებული იქნა ადგილობრივი კადრი, რომელსაც შეეძლო კვირაში ერთი დღე ევლო უბანზე, მაგრამ ამის წინააღმდეგი დარჩა ხელმძღვანელობა, რადგან უბნის ექიმმა კვირაში მინიმუმ ორი-სამი დღე მაინც უნდა იმუშაოს. აქედან გამომდინარე, მიმდინარე წლის პირველი ივნისიდან დაინიშნება ახალი კადრი.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ **ია მოქიამ** სხდომას გააცნო ფრაქციის მიერ წარმოდგენილი ინიციატივა, რომელიც ფრაქციის სხდომაზე ამავე ფრაქციის წევრის, ელისო ჭიჭინაძის მიერ იქნა შეთავაზებული. ინიციატივა შეეხება სოციალური პროგრამის ფარგლებში ონკოდაავადებულების პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფიის კვლევის თანადაფინანსებას. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური პროგრამები საკმაოდ მოქნილი და გამართულია, საჭიროა პეტ/კტ კვლევის დამატება, რადგან იგი არის მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევა. ძალიან კარგი იქნება და საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ მიესალმება, თუკი მოხდება ამ ინიციატივის მიმდინარე წელს შესაბამის სოციალურ პროგრამაში გათვალისწინება.

საკრებულოს წევრმა **ელისო ჭიჭინაძემ** მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რომ სოფელ ჯურუყვეთის მაცხოვრებლები დიდი ხანია ელოდებიან გაზიფიცირების და წყალმომარაგების პრობლემის გადაჭრას. მოსახლეობას აინტერესებს, რა ეტაპზეა ეს პროცესი და როდის მოგვარდება საბოლოოდ აღნიშნული საკითხი. ამის შემდეგ მან ყურადღება გაამახვილა პრემიერმინისტრის ინიციატივასთან დაკავშირებით სოციალურად დაუცველი ადამიანების დასაქმების შესახებ და აღნიშნა, რომ პროგრამის ფარგლებში ჯურუყვეთის სტადიონის მოვლა-პატრონობა დაეკისრა ადგილობრივ ახალგაზრდას. თავის დროზე ეს სტადიონი გაკეთდა ფეხბურთის ფედერაციის მხარდაჭერით, მაგრამ მოსახლეობის დაუდევრობის გამო დღეს არის სავალალო მდგომარეობაში. პირველ რიგში სტადიონი უნდა გადაიხვნას, რაც მუნიციპალიტეტის დახმარების გარეშე ვერ მოხერხდება. ამის შემდეგ, საკრებულოს წევრმა აღნიშნა, რომ საკრებულოს წინა სხდომაზე ითხოვა სოფელ ლესაში წყალმომარაგების სისტემის გამართული მუშაობისთვის 150 მ სიგრძის მილი. მან მაღლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერს, რომ დღეისთვის ეს საკითხი მოგვარებულია.

საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ ფრაქციის სხდომაზე ჰქონდათ საუბარი სოციალურად დაუცველი ადამიანების დასაქმების შესახებ და გამოიკვეთა გარკვეული გარემოებები. კერძოდ, მას აინტერესებს ის, რომ დასაქმებულ ადამიანებს სხვადასხვა სამუშაოების შესასრულებლად ვინ აწვდის ტექნიკურ საშუალებებს, სამუშაო ინვენტარს და ყოველივე ამას ვინ უზრუნველყოფს ფინანსურად.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ ეს პირები ამ დრომდე სამუშაო ინვენტარით და ტექნიკური საშუალებებით ძირითადად მომარაგებული იქნა ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების დახმარებით. სხვა მუნიციპალიტეტებთან ერთად ელოდებიან სამუშაო იარაღს, ინვენტარს და ფორმას, რომელიც დაურიგდება ამ ადამიანებს. თუ დასაქმებული პირის მიერ პირადი ხარჯით იქნა შეძენილი ესა თუ ის სამუშაო იარაღი ან სხვადასხვა ტექნიკური საშუალება, აუცილებლად მოხდება ხარჯის გასწორება. ამის შემდეგ, მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ გაზიფიცირების გარეშე დარჩენილია ოთხი ადმინისტრაციული ერთეული, სულ თოთხმეტი სოფელი. ამ ეტაპისთვის პროექტირება დასრულებულია. ჰქონდათ კომუნიკაცია ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან, რომელიც მიმდინარე წლის ზაფხულში გამოაცხადებს ტენდერს მშენებლობაზე ყველა სოფელში ერთობლივად, დაიწყება სამუშაოები, რომელთა დასრულება უნდა მოხდეს 2023 წლის ბოლომდე, რის შემდეგაც მუნიციპალიტეტი სრულად იქნება გაზიფიცირებული. რაც შეეხება წყალმომარაგებას, მან აღნიშნა, რომ ოთხი ადმინისტრაციული ერთეულია დარჩენილი, სულ თერთმეტი სოფელი, რომელთა პროექტირების პროცესი დასრულების ფაზაშია. როგორც მისთვისაა ცნობილი, სოფელ აკეთში დაწყებულია საცდელი სამუშაოები. ბურღვის შედეგად არ ამოვიდა საკმარისი რაოდენობის წყალი, რის შემდეგ სოფელ შუხუთში მოხდა გაბურღვითი სამუშაოები, სადაც იმ რაოდენობის წყალია, რომ

მოხდება მისი გადაქჩავა აკეთში და როგორც კომპანიის წარმომადგენლებმა თქვეს, გარკვეულ წილად შუხუთის მოსახლეობასაც დააკმაყოფილებს. მიმდინარე წლის ზაფხულში ჯურუყვეთის, აკეთის და ღრმაღელის თემებშიც აქტიურად გაგრძელდება წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ ქალაქში წყალი მიდის თვითდინებით და არანაირი ხარჯი არ აქვს, მაგრამ გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია მოსახლეობას მაინც ახდევინებს საფასურს. სოფელ აკეთშიც დაუყენებენ მოსახლეობს მრიცხველებს და შესაბამისად, იქნება ფასიანი.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ ეს წყალი იქნება გაფილტრული ყველა სტანდარტის დაცვით. გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია აიღებს თავის ბალანსზე და თვითონ იქნება პასუხისმგებელი მის მოვლა-პატრონობაზე.

საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის **კახაბერ ასკურავას** თქმით, ფრაქციის წევრმა გივი ცინცაძემ საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომაზე გააჟღერა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ნიკოთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჩოლობარგში არის ილია ჭავჭავაძის მიერ დაფუძნებული ქობ-სამკითხველო. მან თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რომ უახლოეს პერიოდში გათვალისწინებული იქნას აღნიშნული შენობის შეკეთება, მაგრამ ამავე დროს მხედველობაში მისაღება იხივ, რომ შენარჩუნდეს და არ დაირღვეს სამკითხველოს ავთენტურობა, რადგან იგი ერთგვარად წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს. ამასთან, შენობაზე უნდა განთავსდეს შესაბამისი აბრა. ამის შემდეგ მან აღნიშნა, რომ რამდენიმე დღის წინ შესაბამისმა კომისიამ დადო დასკვნა ქალაქში გარე ვაჭრობასთან დაკავშირებით. იმის წინააღმდეგი არავინაა, რომ ტროტუარებზე არ უნდა ხდებოდეს ამა თუ იმ საქონლით ვაჭრობა. 2012 წელში გაიყიდა აგრარული ბაზარი იმ პირობით, რომ ვაკეთდებოდა ახალი ბაზარი, მაგრამ დღემდე მეპატრონეს არაფერი არ გაუკეთებია. საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარეს აინტერესებს, რატომ არ ასრულებს მესაკუთრე დაკისრებულ ვალდებულებას, რომ ქალაქს ჰქონდეს მოწესრიგებული აგრარული ბაზარი, სადაც გადავა ავტო სადგური, რაც მიმდებარე ქუჩას შესძენს ახალ სიცოცხლეს. რამდენჯერმე დააყენეს საკითხი იმის შესახებ, რომ ე. წ. პერტენავას მაღაზიის და ლიბერთი ბანკის ყოფილი შენობის მიმდებარე ტერიტორიები გადაქცეულია ნაგავსაყრელად და აუცილებლად მოსაწესრიგებელია. გარდა ამისა,

ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს უნდა ეთხოვოს ლიბერთი ბანკის ყოფილი შენობის გადმოცემის თაობაზე, სადაც შეიძლება გაიხსნას საბავშვო ბაღი, რადგან ქალაქის ბაღი ძალიან გადატვირთულია. საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის თქმით, მუნიციპალიტეტის მერმა საკრებულოს სხდომაზე განაცხადა, რომ ქალაქის ცენტრში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებთან დაკავშირებით აქვს გარკვეული პრეტენზიები, რის გამოც ის ობიექტების ჩაბარებაზე ხელს არ მოაწერს. მას აინტერესებს, რა შეიცვალა პრემიერ მინისტრის სტუმრობის დროს მის მიერ ასეთი განცხადების გაკეთების შემდეგ. ამის შემდეგ საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებათა ცენტრის ყოფილი ხელმძღვანელის საქმიანობაზე, რომელიც სამარცხვინოდ დაასრულა, ხოლო ა(ა)იპ სპორტული ცენტრის უფროსმა გაათავისუფლა ტენისის მასწავლებელი და მისი ფუნქცია თვითონ შეითავსა.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილემ **ნინო მშვიდლობაძემ** საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის გამოსვლასთან დაკავშირებით უკმაყოფილება გამოხატა.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** მიმართა საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარეს, რომ ფლობს არასწორ ინფორმაციას და მოუწოდა მისი გადამოწმება, რადგან როცა მუნიციპალიტეტის მერად მოვიდა, აღნიშნულ ა(ა)იპ-ში მაშინ ჰქონდა ადგილი მსგავს სიტუაციას და ხელმძღვანელი გათავისუფლდა თანამდებობიდან, ხოლო ახლანდელი უფროსთან დაკავშირებით ასეთი ფაქტი ნამდვილად არ ყოფილა. რაც შეეხება ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებათა ცენტრის ყოფილ ხელმძღვანელს, დავით წერეთელი ერთ-ერთი წარმატებული იყო თავის საქმიანობაში. მისი თაოსნობით გაკეთდა ძალიან ძლიერი სპექტაკლები, რომლებიც შემდეგ დაიდგა უკრაინაში, პარიზში, თბილისში და საკმაოდ წარმატებითაც. ასევე, გაატარა ბევრი რეფორმა და სასიკეთო საქმეები გაუკეთა კულტურის სახლს, თუნდაც აპარატურის და ახალი ფორმების შექმნის კუთხით, მაგრამ ზოგიერთი რამ გარკვეული კატეგორიისთვის მიუღებელი დარჩა. რაც შეეხება ქალაქის ცენტრში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების მიმდინარეობას, პროცესში

მაქსიმალურადაა ჩართული. მაშინაც თქვა და კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მისი მხრიდან დასრულებული პროექტის ჩაბარებას ხელი შეეშლება, თუ ის სიტუაცია, რაც არ მოსწონს, არ იქნება გამოსწორებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, იმ კომპანიას, რომელიც სამუშაოებს ახორციელებს, თანხა არ ჩაერიცხება, მოიყვანს სხვა კომპანიას და ხარვეზს გამოასწორებს. ეს საკითხი გააჟღერა როგორც პრემიერმინისტრის დონეზე, ასევე მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლებთანაც. ამის შემდეგ მან აღნიშნა, რომ პრემიერმინისტრის მიერ დაინიშნების შემდეგ მომზადდა და გავიდა ქალაქის აღნიშნული ნაწილის პროექტი. სწორედ ამის სანახავად იყო ჩამოსული პრემიერ მინისტრი. ქალაქის გარკვეული უბნები ნამდვილად მოსაწესრიგებელია და ერთობლივად უნდა მიექცეს ყურადღება, მათ შორის ბაზართან დაკავშირებითაც. 2019 წელს საუბარი ჰქონდა იმ ადამიანებთან, რომელთაც უნდა დაეწყოთ ამ ბაზრის მშენებლობა, მაგრამ პანდემიიდან გამომდინარე, ფიზიკურად ვერ მოხერხდა პროექტის განხორციელება. აქვს ახალი ინფორმაცია, რომ მიმდინარე წელს იწყებენ იმ ტერიტორიის კეთილმოწყობას, რათა მოეწყოს სუფთა და მოწესრიგებული ბაზარი. რაც შეეხება, ქუჩების მოწესრიგებას, მიმდინარე წელს დაახლოებით სამი მლნ. ლარის ფარგლებში მოხდება ქალაქის რვა ქუჩის სრული რეაბილიტაცია. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მერია მუშაობს იმასთან დაკავშირებით, რომ დამატებით სამი ქუჩის კეთილმოწყობად ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყოს თანხები. ასევე, სოფლის შიდა გზებთან დაკავშირებით გამზადებულია გარკვეული პროექტები და დაიწყებენ მშენებლობას. ფიქრობენ, რომ ამ მიზნით მინიმუმ სამი მლნ. ლარი იქნება დამატებული, გარდა სუფსა-წყალმინდის გზისა, რომლის სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით იმყოფებოდა საავტომობილო გზების დეპარტამენტში და მათ მიერ უკვე გამოცხადებულია 3, 7 მლნ. ლარის ღირებულების ტენდერი. დანარჩენი პროექტების განხორციელება კი ხდება იმ თანხებით და რესურსებით, რაც მუნიციპალიტეტს გააჩნია. რაც შეეხება ყოფილი ლიბერთი ბანკის შენობას, ის არ არის ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბალანსზე და ბანკის საკუთრებაა. ასევე, ცუდ მდგომარეობაშია ყოფილი ტუბ დისპანსერის შენობა, რომელიც ამჟამად დაყადაღებულია „ადითი“-ს მიერ. მიმდინარეობს გარკვეული სამუშაოები ამ კუთხით. პირველ ეტაპზე მოხდა ისეთ ობიექტებთან დაკავშირებით მიწოდება, რომელიც ქალაქის ცენტრში კატასტროფულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ეს პროგრამა გაგრძელდება და შესაბამისი სამინისტროსთვის მიწოდებული იქნება დანარჩენი სიტუაციები. საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ კატასტროფულ მდგომარეობაშია საქართველოს ბანკის ეზო და შესასვლელი, რაზეც მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ რამდენჯერმე ესაუბრა ამის თაობაზე ბანკის ხელმძღვანელობას, რადგან ამ ტერიტორიის მოწესრიგების საკითხს ადგილობრივი ხელისუფლება ვერ წყვეტს. ამის შემდეგ საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე **კახაბერ ასკურავა** შეეხო მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ებში დაწყებულ შემცირებებს და დაინტერესდა, რა პრინციპის გათვალისწინებით ხორციელდება ეს პროცესი.

მუნიციპალიტეტის მერის **ალექსანდრე სარიშვილის** თქმით, მისთვის ნამდვილად მტკივნეულია ეს პროცესი, მაგრამ ბევრი ადამიანი თავისი ფუნქციიდან გამომდინარე არ არის დატვირთული, რისი გათვალისწინებითაც ეტაპობრივად გაგრძელდება აღნიშნული ღონისძიება და თითოეული დასაქმებული პიროვნება სამსახურში დარჩება თავისი ფუნქციური დატვირთვიდან გამომდინარე.

საკრებულოს წევრმა **ირმა მგელაძემ** აღნიშნა, რომ მომავალი თაობაში ჯანმრთელი ცხოვრების წესის სწავლას და დამკვიდრებას ემსახურება ნარკოდამოკიდებული და მეტადონის პროგრამით მოსარგებლე პიროვნებები, რაც მისი აზრით, სრულიად მიუღებელი და სამარცხვინო ფაქტია. მან მოუწოდა მუნიციპალიტეტის მერს, დაინტერესდეს ასეთი ფაქტებით.

მუნიციპალიტეტის მერის **ალექსანდრე სარიშვილის** თქმით, ძალიან ხმამაღალი განცხადებაა და ნამდვილად დანაშაულია, თუ ასეთ ფაქტს მართლა აქვს ადგილი. აუცილებლად უნდა ითქვას დანამდვილებით ასეთ კონკრეტულ შემთხვევებზე და მუნიციპალიტეტი იზრუნებს მათ აღმოსაფხვრელად.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა თავმჯდომარემ **კარლო გვიტაიშვილმა** აღნიშნა, რომ მიესალმება ქალაქის ქუჩების ასფალტირების პროცესს, მაგრამ კიდევ ოცამდე ქუჩაა მოსაწესრიგებელი. სამუშაოები ამ კუთხით გაგრძელდება და ეტაპობრივად ქალაქის ყველა ქუჩა

კეთილმოეწყობა. ამის შემდეგ, მან მუნიციპალიტეტის მერს გადასცა აღმაშენებლის ქუჩის მაცხოვრებლების თხოვნა, რომ თუ აღნიშნულ ქუჩაზე არ ხდება ვიდეოთვალის დადგმა, იქნებ ე.წ. „მწოლიარე პოლიციელი“ მაინც დამონტაჟდეს.

მუნიციპალიტეტის მერის **ალექსანდრე სარიშვილის** თქმით, როდესაც საპატრულო პოლიციასთან და საავტომობილო გზების დეპარტამენტთან ჰქონდათ საუბარი ე.წ. „მწოლიარე პოლიციელი“-ს მოწყობის თაობაზე, მათი მხრიდან ითქვა, რომ აღნიშნულ გზაზე რაიმე შემაკავებელი წინააღმდეგობის მოწყობა არ შეიძლება, რადგან ეს გამოიწვევს საცობებს. ვიდეოთვალის დადგმასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ ამ კუთხით დამატებით გამოიყოფა დაახლოებით, 550000 ლარიანი პაკეტი. საუბარია 23 ზოგადი ხედვის და 5 ე.წ. „ჭკვიანი“ ვიდეოკამერის დამონტაჟებაზე. შესაბამისად, ერთი ვიდეოკამერა ამ უბანზე განთავსდება. მეორე „ჭკვიანი“ ვიდეოკამერა განთავსდება ავერსის კლინიკის მოპირდაპირე მხარეს, რაც ხელს შეუწყობს ავტომობილების სწრაფი მოძრაობის შეზღუდვას. გარდა ამისა, დაიდგება ზოგადი ხედვის ვიდეოკამერები. ასევე, დამონტაჟებულია სიჩქარის მარეგულირებელი საგზაო ნიშანი. საერთო ჯამში კი, ყველა ეს ღონისძიება გარკვეულწილად განმუხტავს და დაარეგულირებს შექმნილ სიტუაციას.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა თავმჯდომარემ **კარლო კვიციანიშვილმა** აღნიშნა, რომ საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოების ლანჩხუთის სადროშოს ინიციატივით და ასევე, მუნიციპალიტეტის მერის **ალექსანდრე სარიშვილის**, საკრებულოს თავმჯდომარის ბესიკ ტაბიძის, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძის და საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის ია მოქიას გვერდში დგომით თამაზ ჩხაიძეს შეუკვეთეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული ვაჟა თოდუას ბიუსტი, რომელიც გაიხსნება საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი ჩახვაცემ** აღნიშნა, რომ სოფელ მანხვარეთის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, დაახლოებით 70 ოჯახი, წყალმომარაგების პრობლემის გამო არის გაუსადილი მდგომარეობაში. ისინი ითხოვენ წყლის სათავე ნაგებობის დამატებას, რაც სავარაუდოდ, 21000 ლარი დაჯდება.

საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილის **გიორგი გოგუაძის** თქმით, საკრებულოს საფინანსო კომისიის სხდომაზე დააყენა საკითხი, იმის თაობაზე, რომ ბოლო 12 წლის განმავლობაში ქალაქის ცენტრში ტროტუარებზე მესამეჯერ ხორციელდება ფილების დაგება. მისი ინფორმაციით, სავარაუდოდ, წინამორბედმა მერმა ქალაქის ბაღში აღებული ფილები წაიღო გრიგოლეთში სასტუმრო კომპლექსის ტერიტორიის მოსაწესრიგებლად. მან მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რათა დაევალოს მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის და ზემოქმედველობის სამსახურებს საკითხის მოძიება, რადგან მუნიციპალური ქონება უნდა მოხმარდეს მუნიციპალიტეტს ან გასხვისდეს აუქციონის წესით. ამჟამადაც მიმდინარეობს სკვერის მოწყობა და ხდება ძველი ფილების აღება. ვინაიდან ფილები არის მუნიციპალური საკუთრება, საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე დაინტერესდა და მოითხოვა დაზუსტებული ინფორმაცია, თუ სად მიაქვთ, ან სად ხდება ფილების დასაწყობება.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ემზარ თევდორაძემ** მოუწოდა კოლეგას ისაუბროს არა ვარაუდებზე დაყრდნობით, არამედ ფაქტებით და დაზუსტებული ინფორმაციის საფუძველზე.

მუნიციპალიტეტის მერის **ალექსანდრე სარიშვილის** თქმით, ვერავინ ვერ იტყვის იმას, რომ მან, თუნდაც სულ მცირე ოდენობის მუნიციპალური ქონება მოიხმარა პირადად. რაც შეეხება ქალაქის ცენტრში აღებულ ფილებს, ისინი დასაწყობებულია ყოფილი პოლიციის შენობის უკან. მოხდება მათი შეფასება და აუქციონზე გატანა. მან ასევე აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე სკვერში დაგებული ფილები ამოვარდნილია, რაც ართულებს გადაადგილებას. აქედან გამომდინარე, მიდის მუშაობა და საკითხის შესახებ ჰქონდა საუბარი მუნიციპალური განვითარების ფონდის

წარმომადგენლებთან, რომ იმ პროგრამის ფარგლებში, რომლითაც ქალაქის ცენტრში მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული სამუშაოები, ეკონომიის ხარჯზე მოხდეს აღნიშნულ სკვერში ფილების შეცვლა. კომისიის მიერ მოხდება შეფასება და თუკი კანონი იძლევა ამის უფლებას, საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილესაც შეუძლია ჩაერთოს ამ კომისიაში.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილემ **კარლო წილოსანმა** აღნიშნა, რომ მაჩხვარეთის თემში წყალმომარაგების პრობლემა გარკვეულწილად მოწესრიგებულია, მაგრამ მაინც მოსახლეობას არა მარტო ზაფხულში, არამედ წლის სხვა პერიოდშიც ექმნებათ ამ კუთხით გარკვეული პრობლემები, რომელთა შესახებ საქმის კურსშია საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ჩახვადე. საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილემ ასევე აღნიშნა, რომ ძალიან ცუდ მდგომარეობაშია მაჩხვარეთის სასაფლაოსთან ჩასასვლელი გზა.

მუნიციპალიტეტის მერის **ალექსანდრე სარიშვილის** თქმით, ზოგადად დგას მუნიციპალიტეტში წყალმომარაგების პრობლემა. მუნიციპალიტეტში ოთხი ადმინისტრაციული ერთეულია დარჩენილი, სულ თერთმეტი სოფელი, რომელთა წყალმომარაგების პროექტირების პროცესი დასრულების ფაზაშია და ისინი სრულად იქნებიან წყლის მიწოდებით უზრუნველყოფილები. მას ასევე შეხვედრა ჰქონდა გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ხელმძღვანელთან. მიმდინარე წელს გამოიყოფა დაახლოებით 10 მლნ-მდე ლარი. ქალაქის ზემოთა მხრიდან უნდა გაკეთდეს წყლის დიდი სათავეები, რომელიც მოემსახურება ძალიან დიდ კონტიგენტს. ასევე, ქალაქის ქვედა ნაწილში არის ბევრი ჭაბურღილი, საიდანაც შესაბამისი სტანდარტების მიხედვით მოხდება წყლის ამოქაჩვა, რომელიც ასევე მუნიციპალიტეტის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს მოიცავს. რაც შეეხება მაჩხვარეთის სასაფლაოსთან მისასვლელს, არ არის გზის დიდი მონაკვეთი და შესაძლებელია ამ სიტუაციის მოგვარება.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ზაზა წულაძე** შეეხო წყალმომარაგების საკითხს და აღნიშნა, რომ პირველ ბრიგადას მესამე წელია არ აქვს წყალი. ამ პრობლემის მოგვარების პროცესში ნიგოთის მოსახლეობას შეუძლია შემოვიდეს თანადაფინანსებით, რადგან რეზინის მილები არის, მაგრამ მოსაწყობია სათავე, რომელიც დასაპროექტებელია. ასევე, შეიძლება დატოვებული იქნას ძველი ავზი და მხოლოდ ერთი ავზის დამატება იქნება საჭირო. საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რომ ყოველივე ეს დიდ თანხებთან არ იქნება დაკავშირებული, ამიტომ შესაძლებლობიდან გამომდინარე, დროულადაა მოსაგვარებელი.

საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ **გოჩა ჯანაშიამ** აღნიშნა, რომ სუფსაში რამდენიმე ქუჩა იტბორება. მას აინტერესებს, იგეგმება თუა არა სანიაღვრე არხების მოწყობა, რათა შემდეგ მოხდეს გზის მოწესრიგება. ამის შემდეგ მან აღნიშნა, რომ სუფსის სამუსიკო სკოლის შენობას უკეთდება სახურავი, რაც უდავოდ კარგია, მაგრამ ასევე სასურველი იქნება შენობაში მოეწყოს გათბობის სისტემა და მოწესრიგდეს შიდა ინტერიერი. გარდა ამისა, საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურია“-სთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო 200000 ლარის დაფინანსება, მაგრამ როგორც ირკვევა, ფეხბურთელებზე ხელფასები და პრემიები არაა გაცემული. მას აინტერესებს, რა ხდება კლუბთან მიმართებაში. ასევე, გულშემატკივრებმაც გამოთქვეს გუნდის ხელმძღვანელობასთან შეხვედრის სურვილი.

საკრებულოს თავმჯდომარის **ბესიკ ტაბიძის** თქმით, აღნიშნული თანხა უახლოეს პერიოდში გადაირიცხება და არის ოთხი თვის ხელფასი. რაც შეეხება პრემიებს, დაპირება იყო, რომ ფეხბურთელები იმ შემთხვევაში მიიღებენ მას, თუკი გუნდს ექნება კარგი შედეგი.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ წლებია, რაც ეს პრობლემა საფეხბურთო კლუბთან დაკავშირებით არსებობს. მუშაობა დაწყებულია და სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროსთვის გადაგზავნილია ყველა ის დოკუმენტი, რაც გუნდის შეფასებისთვის არის საჭირო. ამის შემდეგ, ერთობლივი მსჯელობის შედეგად უნდა გაკეთდეს პირობიანი აუქციონი, რათა საბოლოოდ გუნდი იყოს ისეთი ხელმძღვანელობის ხელში, რომელიც მას დაუბრუნებს ძველ დიდებას. რაც შეეხება გამოყოფილ თანხას, იყო ბიუროკრატიული შეფერხებები, მათ შორის კლუბის ხელმძღვანელობის მხრიდანაც, რაც დღეისთვის გამოსწორებულია და გამოყოფილი თანხა გადაირიცხება კლუბში. მუნიციპალიტეტის მერის თქმით, ასევე, ფიქრობენ, რომ სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროდან დასკვნის მიღების შემდეგ მაქსიმუმ ერთი თვის განმავლობაში იმსჯელონ ერთობლივად. ასევე, კარგი იქნება, თუ ამასთან დაკავშირებით შეიქმნება სპეციალური კომისიაც, რათა სხვა მუნიციპალიტეტების გამოცდილების გათვალისწინებით შეირჩეს ის ფორმა, რომლითაც მოხდება კლუბის აუქციონზე გატანა.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

